ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

კრიტიკულ დაავადებათა დაზღვევა

- ✓ წინამდებარე ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები წარმოადგენს არასრულ ინფორმაციას დაზღვევის პირობების შესახებ;
- ✓ ხელშეკრულების მნიშვნელოვან პირობებთან ერთად დაზღვევის ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილია www.solo.ge ვებ. გვერდზე განთავსებული:
- პრეტენზიის ფორმა
- საინფორმაციო ფურცელი
- ხელშეკრულების სტანდარტული პირობები

ასევე,

- სადაზღვევო ბარათი, რომელიც გადაეცემა მომხმარებელს.

1. **ინფორმაცია სადაზღვევო კომპანიისა და ხელშეკრულების ტიპის შესახებ:**

✓ სს ,,სადაზღვევო კომპანია იმედი L" (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204919008)

✓ იურიდიული მისამართი: თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ანნა პოლიტკოვსკაიას #9

✓ კრიტიკულ დაავადებათა დაზღვევის ხელშეკრულებისათვის განკუთვნილი ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები.

✓ კრიტიკულ დაავადებათა დაზღვევის ხელშეკრულებით დაზღვეულ სიკეთეს წარმოადგენს ხელშეკრულებით განსაზღვრული კრიტიკული დაავადებების დაზღვევა, რომელთა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად დიაგნოსტირების შემთხვევაში წარმოიშობა სადაზღვევო თანხის გაცემის/ანაზღაურების ვალდებულება.

2. **ინფორმაცია კრიტიკულ დაავადებათა დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების ვადის, სადაზღვევო პრემიის, ხელშეკრულების შეწყვეტის პირობების, პრეტენზიის წარდგენის ფორმის, ვადებისა და გამონაკლისების მომწესრიგებელი მუხლების შესახებ:**

✓ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო პერიოდი (ხელშეკრულების მოქმედების ვადა) თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში მითითებულია, კრიტიკულ დაავადებათა დაზღვევის პოლისში.

✓ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო თანხის/პრემიის ოდენობის შესახებ ზუსტი ინფორმაციის მისაღებად იხილეთ ხელშეკრულების მე-5, მე-6 მუხლი და პოლისი, სადაც შერჩეული პროდუქტისა და დაზღვეული პირის შესაბამისად მითითებულია ინფორმაცია, როგორც ყოველთვიური სადაზღვევო პრემიის ასევე ჯამური/წლიური სადაზღვევო პრემიის თაობაზე.

კრიტიკულ დაავადებათა დაზღვევის ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს შემდეგ შემთხვევებში;

- მზღვეველის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემთხვევაში, მოიაზრებს - პირობებით განსაზღვრული ერთ-ერთი სადაზღვევო შემთხვევის (ერთ-ერთი დიაგნოზის დიაგნოსტირებას) დადგომასა და შესაბამისი სადაზღვევო ანაზღაურების სრულად

გაცემას, თუ სადაზღვევო პრემია სრულად არის გადახდილი; (მითითებული საფუძვლით ხელშეკრულების შეწყვეტისას, ახალი სადაზღვევო პერიოდით დაზღვეულის დაზღვევა, განხორციელდება მხოლოდ მზღვეველის თანხმობის შემთხვევაში).

- მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა;
- მხარეთა წერილობითი შეთანხმება;
- იმ შემთხვევაში თუ დამზღვევი/დაზღვეული გადააჭარბებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ასაკობრივ ზღვარს;
- სოლო მომხმარებლის სტატუსის გაუქმება;
- დაზღვეულის გარდაცვალება;
- საქართველოს კანონმდებლობითა და ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა შემთხვევები;

➢ მომხარებლის მიერ მზღვეველისათვის ნებისმიერი სახის პრეტენზიის წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, პრეტენზიის წარდგენის ფორმა ახლავს კრიტიკულ დაავადებათა დაზღვევის ხელშეკრულებას დანართი #1-ის სახით, მომხარებლის პრეტენზიებს განიხილავს მზღვეველის, დაზღვეულთა/მომხმარებელთა ინტერესების დაცვის დეპარტამენტი, რომელიც შესაბამისი წერილობითი პრეტენზიის მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოფს მომხმარებლისათვის პასუხის წერილობითი ფორმით მიწოდებას, მომხარებლისათვის პასუხის მიწოდება შესაძლებელია განხორციელდეს, მომხარებლის მიერ პრეტენზიის ფორმაში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე. (პრეტენზიის ფორმის ნიმუში განთავსებულია შემდეგ ვებ-გვერდზე www.solo.ge

➢ კრიტიკულ დაავადებათა დაზღვევის ხელშეკრულების გამონაკლისები მითითებულია ხელშეკრულების მე-12 მუხლში, ხოლო სადაზღვევო ანაზღაურების წინაპირობები, წინამდებარე მნიშვნელოვანი პირობების მე-4 პუნქტში. (ანაზღაურების წინაპირობების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად იხილეთ ხელშეკრულების მე-4, მე-5 და მე-8 მუხლები)

3. ინფორმაცია კრიტიკულ დაავადებათა დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფინანსური ხარჯისა და ოდენობის თაობაზე:

- კრიტიკულ დაავადებათა დაზღვევის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, პოლისით განსაზღვრული სადაზღვევო პრემია ექვემდებარება სრულად გადახდას, მიუხედავად კრიტიკულ დაავადებათა დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზისა/საფუძვლისა, გარდა ხელშეკრულების მე-6 მუხლში მითითებული დათქმისა.
- სოლო მომხმარებლის ოჯახის წევრის დაზღვევის შემთხვევაში გადახდას ექვემდებარება 1 წლიანი დაზღვევის პოლისისათვის განკუთვნილ სადაზღვევო პრემია, მათი სადაზღვევო პერიოდის ხანგრძლივობის მიუხედავად.
- ხელშეკრულების შეწყვეტისა და სადაზღვევო პრემიის მოთხოვნის შესახებ დეტალური ინფორმაცია მითითებულია ხელშეკრულების მე-8 მუხლში.

4. ინფორმაცია კრიტიკულ დაავადებათა დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფრანშიზისა და სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურების წინაპირობების შესახებ:

კრიტიკულ დაავადებათა დაზღვევის ხელშეკრულებით ფრანშიზა არ არის განსაზღვრული.

✓ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის წინაპირობაა: სადაზღვევო შემთხვევა რეგულირდებოდეს ხელშეკრულებით და მომხმარებლის მიერ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული, ხელშეკრულებით განსაზღვრული ინფორმაცია/დოკუმენტაცია მზღვეველისათვის წარდგენილ იყოს სრულად, ხელშეკრულებითვე შეთანხმებულ/განსაზღვრულ ვადაში და ფორმით.

✓ სადაზღვევო კომპანიას ინფორმაცია და შესაბამისი დოკუმენტაცია სადაზღვევო შემთხვევის შესახებ უნდა მიეწოდოს, შესაბამისი დაავადების/დიაგნოზის დიაგნოსტირებიდან არაუმეტეს 40 კალენდარული დღის ვადაში.

იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელი არ უზრუნველყოფს სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული თითოეული დოკუმენტის, ხელშეკრულებით დადგენილი წესით, ფორმითა და ვადაში მზღვეველისათვის წარდგენას, მზღვეველი თავისუფლდება სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ვალდებულებისაგან.

✓ კრიტიკულ დაავადებათა დაზღვევის ხელშეკრულებით განსაზღვრულია მოცდის პერიოდი 90 კალენდარული დღე. მოცდის პერიოდის განმავლობაში დამდგარი სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურება არ ხორციელდება.

✓ სადაზღვევო თანხა გადახდას ექვემდებარება იმ შემთხვევაში თუ, ხელშეკრულებით განსაზღვრული რომელიმე დიაგნოზის დიაგნოსტირება მოხდა მოცდის პერიოდის გასვლის შემდეგ და დაზღვეულის გარდაცვალების ფაქტი არ დადგება გადარჩენის 30 დღიანი პერიოდის განმავლობაში.

კრიტიკულ დაავადებათა დაზღვევის ხელშეკრულებით განსაზღვრული თითოეული სადაზღვევო პროდუქტის/დაფარვის შესაბამისად, დეტალური ინფორმაციის მისაღებად:

✓ მომსახურების მიღების ინსტრუქციისა და წესის შესახებ იხილეთ ხელშეკრულების მე-4 მუხლის შესაბამისი პუნქტები:

4.1.1 გულის შეტევა

4.1.2 სიმსივნე

4.1.3 ინსულტი

4.1.4 თირკმლის უკმარისობა

4.1.5 ძირითადი ორგანოს გადანერგვის საჭიროება

4.1.6 კორონარული არტერიის შუნტირება

4.1.7 გაფანტული სკლეროზი

4.2 ანაზღაურების მოთხოვნის ვადა

მე-4 მუხლი მოიცავს თითოეული ზემოაღნიშნულ პუნქტებში მითითებული დაფარვების მიხედვით ანაზღაურების მიღებისათვის გათვალისწინებულ წესებსა და ინსტრუქციებს.

✓ ანაზღაურების მიღების/გაცემის ფორმისა და ვადის შესახებ იხილეთ ხელშეკრულების 6.1. და 6.3. პუნქტები.

- ✓ მომხმარებლის მიერ მზღვეველისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების მნიშვნელობა და ამ ვალდებულების დარღვევის სამართლებრივი შედეგი:
- ✓ მომხმარებელი ვალდებულია უზრუნველყოს, როგორც ხელშეკრულების დადებისათვის აუცილებელი უტყუარი ინფორმაციის მზღვეველისათვის წარმოდგენა, ასევე სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული, ხელშეკრულებით განსაზღვრული ინფორმაციის სრულად წარდგენა, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და ფორმით. მითითებულ ვადაში არაზუსტი/არასწორი ინფორმაციის მოწოდების შემთხვევაში, მზღვეველი თავისუფალია სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურების ვალდებულებისაგან.
- ✓ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ფაქტის შესახებ ან/და ანაზღაურების მიღებისათვის ყალბი ინფორმაციის წარმოდგენის ფაქტის გამოვლენისას, სადაზღვევო შემთხვევა არ ექვემდებარება ანაზღაურებას. აღნიშნულ შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს დაზღვევა, ამასთან აღნიშნული პირობით მზღვეველის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში წინასწარ გადახდილი პრემია არ ექვემდებარება უკან დაბრუნებას, ხოლო ხელშეკრულების მოშლის დროისათვის გამოუმუშავებელი გადაუხდელი პრემია კი სრულად ექვემდებარე მოთხოვნას;

5. ხელშეკრულებით განსაზღვრული გამონაკლისთა სტანდარტული ნუსხა, ხელშეკრულების შესაბამისად ანაზღაურებას არ ექვემდებარება:

- დაზღვევამდე დიაგნოსტირებული მდგომარეობები;
- საომარ ზონაში მოგზაურობისას მომხდარი შემთხვევები, თუ ასეთი მოგზაურობა წინასწარ არ არის შეთანხმებული მზღვეველთან;
- ომი ტერორიზმი, ძალადობა ან სამოქალაქო ომი;
- ბირთვული, ქიმიური ან ბილოგიური იარაღი;
- ბირთვული რეაქცია, ბირთვული რადიაცია ან/და რადიოაქტიული დაბინძურება;
- დაზღვეული პირის საომარ ქმედებებში მონაწილეობა;
- დაზღვეული პირის მიერ სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდება (თუ აღნიშნულის მიზეზს არ წარმოაგდენდა სხვისი სიცოცხლის გადარჩენა);
- დაზღვეული პირის კრიმინალურ აქტში მონაწილეობა;
- დაზღვეული პირის თვითმკვლელობა ან ასეთის მცდელობა, განზრაზ თვითდაზიანება;
- დაზღვევამდე არსებული ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი (HIV) და შეძენილი იმუნოდეფიციტური სინდრომი (AIDS);
- გატაცებისას მიყენებული პირდაპირი ან არაპირდაპირი დაზიანებები/დარღვევები;

6. მზღვეველის საზედამხედველო ორგანოს სახელწოდება და მისამართია: სსიპ ,,საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური“, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ლევან მიქელაძის #3.